დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF DUSHETI MUNICIPALITY

KA990166800058720

№ **678/ს** **08 / აპრილი / 2020 წ.**

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დუშეთის მუნიციპალიტეტსა შპს , ,ტექნოკონსტრაქშენს“ შორის 2019 წლის17 ოქტომბერს დადებული N410 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეუსრულებელი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო შეწყვ ეტის შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული იყო: ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში ,გუდამაყრის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბურსაჭირში საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოები. შპს ,,ტექნოკონსტრაქშენს“ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულება არ შეუსრულებია. 2019 წლის 17 ოქტომბრის N410 ხელშეკრულების მე-13 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე.ე" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,ტექნოკონსტრაქშენს“ შორის 2019 წლის 17 ოქტომბერს დადებული N410 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შეწყდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო.
2. მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა უზრუნველყოს საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ზურაბ სეხნიაშვილი